

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) შეთანხმებები

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია შეიქმნა მრავალწლიური მოლაპარაკებების შედეგად ურუგუაის რაუნდის ჩარჩოებში, რომელიც დასრულდა 1993 წლის დეკემბერში.

ოფიციალურად მსო ჩამოყალიბდა მარაკეშის კონფერენციაზე 1994 წლის აპრილში “მსო-ს დაფუძნების შესახებ” შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ცნობილია როგორც მარაკეშის შეთანხმება.

დანართი

1A:

მრავალმხრივი შეთანხმებები საქონლით ვაჭრობის შესახებ:

შეთანხმების დასახელება	მოკლე აღწერილობა
გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 1947 წ., 1994 წ. შეთანხმება სოფლის მეურნეობის შესახებ	განსაზღვრავს საქონლით ვაჭრობის რეჟიმის საფუძველებს, მსო-ს წევრების უფლებებსა და მოვალეობებს ამ სფეროში განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის საქონლით ვაჭრობის რეგულირების საფუძველებს და წარმოებისა და ვაჭრობის სახელმწიფო მხარდაჭერისათვის ზომების მიღების მექანიზმებს ამ სექტორში
შეთანხმება ტექსტილისა და ტანსაცმლის შესახებ	განსაზღვრავს ტექსტილითა და ტანსაცმლით ვაჭრობის რეგულირების თავისებურებებს
შეთანხმება სანიტარული და ფიტოსანიტარული ნორმების გამოყენების შესახებ	განსაზღვრავს სანიტარული და ფიტოსანიტარული კონტროლის ზომების გამოყენების პირობებს
შეთანხმება ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ	განსაზღვრავს სტანდარტების, ტექნიკური რეგულაციებისა და სერტიფირების პროცედურების პირობებს
შეთანხმება ვაჭრობასთან დაკავშირებული საინვესტიციო ზომების შესახებ	შეიცავს კაპიტალდაბანდებებთან დაკავშირებულ სამამულო საქონლის მოხმარებისათვის წამხალი-სებული ზომების გამოყენების შეზღუდვებს
შეთანხმება 1994 წ. GATT VII მუხლის გამოყენების შესახებ (საქონლის საბაჟო შეფასება)	განსაზღვრავს საქონლით საბაჟო ღირებულების შეფასების წესებს
შეთანხმება წინაჩამოსატვირთი ინსპექციის შესახებ	განსაზღვრავს წინაჩამოსატვირთი ინსპექციების წარმართვის პირობებს
შეთანხმება წარმოშობის წესების შესახებ	განსაზღვრავს საქონლის წარმოშობის პრინციპებს
შეთანხმება იმპორტული ლიცენზირების პროცედურების შესახებ	ადგენს იმპორტის ლიცენზირების პროცედურებს და ფორმებს
შეთანხმება სუბსიდიებისა	განსაზღვრავს სუბსიდიებისა და

და საკომპენსაციო ზომების შესახებ სუბსიდირებასთან ბრძოლაძე მიმართული ზომების გამოყენების პირობებსა და პროცედურებს

შეთანხმება 1994 წ. GATT VI სტატიის (ანტიდემპინგი) გამოყენების შესახებ განსაზღვრავს დემპინგის უკუმოქმედი ზომების გამოყენების პირობებსა და პროცედურებს

შეთანხმება დამცავი ზომების შესახებ განსაზღვრავს მზარდი იმპორტის უკუმოქმედი ზომების გამოყენების პირობებსა და პროცედურებს

დანართი IB: გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ. განსაზღვრავს მომსახურებით ვაჭრობის რეჟიმის საფუძვლებს, მსო-ს წევრების უფლებებსა და მოვალეობებს ამ სფეროში

დანართი IC: შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სავაჭრო ასპექტების შესახებ. განსაზღვრავს მსო-ს წევრების უფლებებსა და მოვალეობებს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში.

დანართი 2: გაგება დავეების გადაჭრის მიმართ წესებისა და პროცედურების შესახებ ადგენს დავეების გადაჭრის პირობებსა და პროცედურებს მსო-ს წევრებს შორის მათ მიერ მსო-ს ყველა შეთანხმებებზე მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით შესახებ.

დანართი 3: სავაჭრო პოლიტიკის მიმოხილვის მექანიზმი განსაზღვრავს მსო-ს წევრების სავაჭრო პოლიტიკის მიმოხილვის პირობებსა და ზოგად პარამეტრებს.

დანართი 4: მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებები, რომლებიც არ არის აუცილებელი მსო-ს ყველა წევრის მონაწილეობისათვის

- შეთანხმება სამოქალაქო ავიატექნიკით ვაჭრობის შესახებ (განსაზღვრავს მხარეების ვალდებულებებს ამ სექტორში ვაჭრობის ლიბერალიზაციის შესახებ)
- შეთანხმება სამთავრობო შესყიდვების შესახებ (ადგენს უცხო ქვეყნების კომპანიების დაშვების პროცედურებს სახელმწიფო საჭიროებისათვის შესყიდვების ეროვნულ სისტემებთან).